წერილის ნომერი: **18-01191993195**
თარიღი: **18/07/2019**
პინი: **4851**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც „სამსახური"), განიხილა თქვენი 2019 წლის 15 ივლისის #60-01191963548 წერილი (AR1673932) და თანდართული დოკუმენტაცია, რომლითაც მოქალაქე გოჩა ნონიაშვილი ითხოვს ქ. თბილისში, ვაზისუბანი 1 მ/რ, კორპუსი #9-ის მიმდებარედ/ვაზისუბნის დასახლება 1 მ/რ, კორპუსი #9-ის მიმდებარედ (ს.კ. #01.17.07.041.010)(ფუნქციური ზონა: სზ-6) შპს „სითი დეველოპმენტი 2018-ის" საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთში, IV კლასის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით, არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე, გამწვანების პროექტთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას და გაცნობებთ, რომ:

წარმოდგენილი გამწვანების პროექტის ფარგლებში, ახალი გამწვანებული სივრცეების მოსაწყობად შემოთავაზებული 41 ერთეული (14 ძირი ოლეანდრა, 7 ძირი კორპის მუხა, 7 ძირი კავკასიური ცაცხვი, 2 ძირი ირმის რქა, 1 ძირი ჰიმალაის კედარი, 5 ძირი იტალიური ფიჭვი, 3 ძირი ზეთის ხილი, 2 ძირი ოქროს წვიმა) მცენარის რაოდენობა სრულად ითვისებს კ3 გამწვანების კოეფიციენტის მინიმალურ საანგარიშო ფართობს (550,86 კვ.მ). გასამწვანებლად შემოთავაზებული საპროექტო მცენარეები (სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის #05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან) შერჩეულია კლიმატური, ნიადაგობრივი, დეკორატიული და ურბანული პირობების გათვალისწინებით.

ამდენად, სამსახური თანახმაა არსებული სახით დამტკიცდეს გამწვანების პროექტი.

ინფორმაციის სახით გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" მე-40 მუხლის მე-3^1 პუნქტისა და 47-ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ^1" ქვეპუნქტის საფუძველზე, განმცხადებელმა საინფორმაციო დაფის გამოკვრამდე მასში უნდა შეიტანოს შემდეგი ცვლილებები: გამწვანების პროექტის შეთანხმების თარიღი უნდა განისაზღვროს მშენებლობის ნებართვის თარიღის შესაბამისად (მშენებლობის ნებართვის აღებამდე განმცხადებელს არ მოეთხოვება), ხოლო, დასარგავი მწვანე ნარგავების გარშემოწერილობა უნდა იყოს არანაკლებ 20 სმ.

აქვე მოგახსენებთ, რომ მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის" შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ წარმოქმნილი ინერტული ნარჩენები გამოიყენება ამოვსების ოპერაციებისთვის ან მშენებლობის მიზნებისთვის, საჭიროა მომზადდეს პროექტი, რომელიც უნდა შეთანხმდეს შესაბამის უწყებასთან (ნარჩენების მართვის კოდექსი 21-ე მუხლის 5^1 პუნქტი).

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ტრანსპორტის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **16-01191833602**
თარიღი: **02/07/2019**
პინი: **0568**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას ქ. 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსს

ბატონ თეიმურაზ ბოლოთაშვილს

ბატონო თეიმურაზ,

2019 წლის 28 ივნისის N 17-0119179325-16 წერილის პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, ვაზისუბანში, I მ/რ, კორპუსი N9-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.17.07.041.010) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ფარგლებში (AR1673932) პოზიციის დაფიქსირებას, გაცნობებთ:

აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, ტრანსპორტის საქალაქო სამსახურმა, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, განაშენიანების რეგულირების პარამეტრების ზღვრული მაჩვენებლების (კ2) გადამეტების მიზნით, სპეციალურ ზონალურ შეთანხმებას ეტაპზე დააფიქსირა პოზიცია (წერილი N 01191124872).

ვინაიდან, წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტი არ ითვალისწინებს არსებით ცვლილებებს და არ იკვეთება ახალი საგულისხმო გარემოებები, ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის პოზიცია რჩება უცვლელი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური, თავის კომპეტენციის ფარგლებში და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა²“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ტრანსპორტის საქალაქო სამსახური არ არის აღნიშნული პროექტის შეთანხმების (AR1673932) წინააღმდეგი.

პატივისცემით,

მამუკა მუმლაძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი